# ლელო

საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის გაზეთი

21 ნოემბერი, ოთხშაბათი, 1990 წ.
№ 232 (10 391) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## 24 და 25 ნოემბერს

თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობენ: იაპონიის, თურქეთის, ბულგარეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთის, რსფსრ-ის, აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გუნდები.

დასაწყისი 12 და 17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

მოეწყობა ლატარია — გათამაშდება საგზურები საზღვარგარეთის ქვეყნებში სამოგზაუროდ.



ზამოხმაურება წერილზე: „ქართული სპორტი — მხოლოდ აღმავლობის გზით!“

# ახალ ეპოქაში, ახალი შემართებით!

**ვაგრძელებთ დიალოგს რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის, მისი შემდგომი განვითარება-სრულყოფის საკითხებზე.**

**რედაქციაში გვეწვია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, სპორტული ფედერაციების კომისიის თავმჯდომარე ვანო ყიფიანი, რომელსაც ესაუბრა „ლელოს“ კორესპონდენტი.**

**● რესპუბლიკაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, შეიქმნა ახალი პარლამენტი და გამოიკვეთა ცხოვრების ახალი გეზი; დადგინდა გარდამავალი პერიოდი, რომელიც საფუძველს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ცხადია, ამ პერიოდში უფრო მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს აგრეთვე რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების მიმართულება. თქვენი აზრით, ახალი პოლიტიკური ვითარება როგორ შეუწყობს ხელს ოლიმპიური მოძრაობისა და საერთოდ სპორტის განვითარებას ჩვენში?**

— პირველ ყოვლისა, სეოკ-ის აღმასკომის სახელით, გულწრფელად ვულოცავ დემოკრატიულ ძალებს გამარჯვებას პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში. ვთვლით, რომ დღეს, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ყოველგვარი სტერეოტიპებისაგან განთავისუფლებული, განათლებული, გონიერი და სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები. ეჭვს არ იწვევს, აბსოლუტურად რადიკალური (კარგი გაგებით) მიზნების განხორციელების გზაზე, მათ მიერ გადადგმული ყველა პრაქტიკული ნაბიჯი გონივრულად მოზომილი იქნება. ამ აზრს ადასტურებს პარლამენტის გადაწყვეტილება პოლიტიკური ლიდერების არჩევანში. შემიძლია თამამი პროგნოზი გამოვთქვა, რომ, როგორც სხვა დარგები, ასევე სპორტი, თვითმმართველობის პრინციპებით ჩამოყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ, სპორტის ყველა სახეობა მართვის პრინციპებიდან გამომდინარე, მოიპოვებს სრულ სუვერენიტეტს და აუცილებელი გახდება დიქტატისგან მისი განთავისუფლება. სპორტს ესაჭიროება სახელმწიფოსგან ზრუნვა და არა დიქტატზე დაფუძნებული მართვა.

**● როგორ წარმოგიდგენიათ სახელმწიფოებრივი მიდგომა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობისადმი და ამ საკითხში პარლამენტის როგორ გადაწყვეტილებას მიესალმებოდით?**

— სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ პარლამენტი ამ საკითხზე ერთადერთ, მაგრამ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს. დავეყრდნოთ ელემენტარულ ლოგიკას: თუ უეჭველია, რომ სპორტის თითოეულ სახეობას უნდა მართავდეს შესაბამისი ფედერაცია და ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, თვითმმართველი ორგანო, მაშინ მართვის ზოგად პრინციპებში ოდნავ ჩახედული კაცისთვის ნათელია, რომ არ შეიძლება ჰყავდეს ზემდგომი ორგანო. აქედან გამომდინარე, ჩემი პირადი აზრით, სპორტსახკომის ფუნქცია აღარ რჩება. მაგრამ ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი სახელმწიფოებრივი ზრუნვა უნდა ამაღლდეს იქ, სადაც ყალიბდება პიროვნება როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და სოციალურად. ეს გახლავთ განათლების სისტემა — საბავშვო ბაგა-ბაღებიდან მოყოლებული უმაღლესი სასწავლებლის ჩათვლით. აი, იქ სჭირდებათ მოზარდებს და ახალგაზრდებს სახელმწიფოებრივი ზრუნვა. რაც შეეხება მოსახლეობის სხვა სოციალურ ფენებს, საბაზრო ურთიერთობები მათ თავისთავად შეუქმნის მასობრივი გაჯანსაღებისა და სპორტში ჩაბმის პირობებს. ეს იქნება გამაჯანსაღებელი და სპორტული კლუბები, შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელ ადგილებში შექმნილი ასეთივე კერები. ამის საჭიროება ყველა განვითარებული ქვეყნის პრაქტიკამ დაამტკიცა. თუ პარლამენტის გადაწყვეტილება ამ პროცესებს შეუწყობს ხელს, პირადად მე, ცხადია, მივესალმებოდი.

**● თქვენი პასუხიდან გამომდინარე, ბუნებრივად იბადება შეკითხვა: ვინ და როგორ უზრუნველყოფს სპორტის სიცოცხლისუნარიანობას? ხომ ფაქტია, რომ ადამიანების სიჯანსაღეს, ფიზკულტურასა და სპორტს დიდძალი თანხები ესაჭიროება, საიდან?**

— ის, რაც ბაგა-ბაღიდან მოყოლებული, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე სჭირდება მოზარდებისა და ახალგაზრდების ფიზიკური აღზრდის საქმეს, უთუოდ და აშკარად სახელმწიფო ბიუჯეტმა უნდა უზრუნველყოს და უზრუნველყოს იმ დონეზე, ერის რა დონის სიჯანსაღეც გვინდა. სახელმწიფო აქ მაქსიმალურად გულუხვი უნდა იყოს, მაგრამ, ცხადია, შესაძლებლობების ფარგლებში. გამაჯანსაღებელი და სპორტული კლუბები დამატებით უნდა დაფინანსდეს ამ კლუბების დამფუძნებლების მიერ. სპორტულმა ფედერაციებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა თვითდაფინანსებით იარსებონ. თუ სპორტის რომელიმე სახეობა თავს ვერ შეინახავს, მაგრამ ის სჭირდება რესპუბლიკას, აქ, სირთულეების მიუხედავად, პასუხისმგებლობა და ზრუნვა თავის თავზე უნდა აიღოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა. ამისთვის და, რაც მთავარია, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის და ოლიმპიადიდან ოლიმპიადამდე სპორტსმენთა და ნაკრები გუნდების მუდმივი მიზანმიმართული მომზადებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის რესპუბლიკის მთავრობას აუცილებლად მოუწევს მუდმივი დოტაციით სეოკ-ის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, ჩვენი სპორტის განვითარების უზრუნველყოფის სხვა შესაძლებლობებიც გამოჩნდება. პირველ და რეალურ შესაძლებლობაზე, რაკი „ლელოში“ ვიმყოფები, ახლავე შემიძლია გითხრათ. როგორც თქვენი გაზეთის საშუალებით გავიგე, ყოველწლიურად „ლელოს“ მილიონზე მეტი წმინდა მოგება აქვს და ეს თანხა. რატომღაც კომპარტიის გამგებლობაში მიდის. საჭიროა ეს შემოსავალი მთლიანად ქა-

იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს

## ბატონ ზვიად გამსახურდიას

## საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

## ბატონ თენგიზ სიგუას

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია გულითადად გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას საქართველოს კეთილდღეობისა და მისი უკეთესი ხვალინდელი დღისათვის ბრძოლის ამ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე.

იწყება ქართველი ხალხის სულიერი და ფიზიკური აღორძინება, რომელშიც თავის წვლილს შეიტანს ფიზიკური კულტურისა და მედიცინის მუშაკების მიერ ერთობლივად შექმნილი ჩვენი ასოციაციაც.

„ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სული“! — ქართველმა ხალხმა კვლავ უნდა უერთგულოს ამ ბრძნულ შეგონებას.

იმედი გვაქვს, ერისათვის ესოდენ მნიშვნელოვან საქმეში ყურადღება არ მოგვაკლდება.

**მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაცია**

# ყველა ადგილი განაწილდა

**ნიჟნი ნოვგოროდი.** აქ გაიმართა წყალბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე სუპერფინალური მატჩი ადგილობრივ „სალიუტსა“ და მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბს შორის, რომელსაც უნდა გამოევლინა ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა. მანამდე ჩატარებულმა შეხვედრამ უძლიერესი ვერ დაასახელა. მოსკოვში სტუდენტმა წყალბურთელებმა იმარჯვეს (8:6), ნიჟნი ნოვგოროდში კი „სალუტმა“ (11:3). მესამე მატჩმა მინიმალური სხვაობით (8:7) უპირატესობა ადგილობრივ წყალბურთელებს მოუტანა, რომლებსაც გადაეცათ ბრინჯაოს მედლები.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მანამდე მთავარ სუპერფინალში ზლატოუსტის „ურალოჩკამ“ დაამარცხა შარშანდელი ჩემპიონი, თბილისის „ივერია“. ამრიგად, გამოვლინდნენ საკავშირო ჩემპიონატის ყველა პრიზიორები. გამარჯვება მოიპოვა „ურალოჩკამ“. ვერცხლის მედლები ხვდათ ორგზის საკავშირო ჩემპიონებს — ქართველ წყალბურთელებს. მესამე ადგილზე გავიდა ნიჟნი ნოვგოროდის „სალუტი“, მეოთხეზე — მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი.

# ეს ხომ პირველია...

**ქუთაისის** მუსიკოსთა საფეხბურთო საქველმოქმედო კლუბი „კოლხა“ ულოცავს თბილისის „იბერიას“ ფეხბურთში საქართველოს რესპუბლიკის ჩემპიონობას და ლანჩხუთის „გურიას“ თასის მოპოვებას.

ეს ხომ პირველი შემთხვევაა საბჭოთა რეჟიმის წლებში, როცა საქართველოში ჩატარდა პირველი ეროვნული ჩემპიონატი და თასის გათამაშება ფეხბურთში, მადლობა ღმერთს, ყოველგვარი „ტორპედოებისა“ თუ „ლოკომოტივების“ გარეშე.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ „იბერიას“ და „გურიას“ ამ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ შორს გაეტანოთ ქართული ფეხბურთის სახელი!

ვულოცავთ მთელ ქართველ ერს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობას!

აბა ულა, ჯიმალეფი!

**„კოლხას“ წევრთა სახელით, კლუბის პრეზიდენტი**
**გოჩა ტყეშელაშვილი.**

# დეპოლიტიზაცია გრძელდება

**წლეულს**, 12 ივნისს, „ლელომ“ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სპორტულ ორგანიზაციებში უნდა გაუქმდეს პარტიული ორგოლები და მოხდეს ამ ორგანიზაციების სრული დეპოლიტიზაცია. საქართველოს სპორტსახკომისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს სპორტულმა ორგანიზაციებმა. პირველმა დეპოლიტიზაცია თვით სპორტსახკომის აპარატმა გამოაცხადა. შემდეგ სპორტსაზოგადოება „მართვემ“ და „შევარდენმა“. ამ დღეებში კი ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოში.



# ტრავმა რომ არა, ვინ იცის...

**350 მოკრივე** სცდიდა ძალებს თურქეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე და, ბუნებრივია, თითოეული მათგანი გარკვეული პრეტენზიებით გამოვიდა ანკარის სპორტის სასახლის რინგზე. ბულგარეთის, რუმინეთის, შვეციის, სამხრეთ კორეის, იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირისა და, რა თქმა უნდა, მასპინძელთა ნაკრები გუნდები უძლიერესი მოკრივეებით იყვნენ დაკომპლექტებულნი. საკავშირო გუნდის ღირსებას ამ ტურნირში ორი ქართველი ჭაბუკიც იცავდა — კობა გოგოლაძე და თამაზ წკრიალაშვილი, სამწუხაროდ, ეს უკანასკნელი მალე გამოეთიშა ორთაბრძოლებს. კ. გოგოლაძემ, რომელიც 51 კგ-ში ასპარეზობდა, (მწვრთნელები — ნ. ულანტაშვილი და ა. გიორგაძე), ზედიზედ დაამარცხა თურქეთის, საბჭოთა კავშირის, სამხრეთ კორეისა და რუმინეთის წარმომადგენლები, ნახევარფინალში შეხვდა მასპინძელთა გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, მაგრამ ორთაბრძოლის დროს, მან ხელის მძიმე ტრავმა მიიღო და წესის თანახმად, ბრძოლის გაგრძელების უფლება არ მისცეს. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი კ. გოგოლაძე III საპრიზო ადგილს დასჯერდა, თუმცა, ბრინჯაოს მედალიც დიდი მიღწევაა ახალგაზრდა ჭაბუკისთვის, მით უმეტეს, ტრავმა რომ არა, ვინ იცის...

**ა. გიორგაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

# ახალ ეპოქაში, ახალი შემართებით!

(დასასრული)

რთულ სპორტს მოხმარდეს. მეტიც, სპორტისთვის უხერხულია, ხელგაწვდილი ითხოვდეს ქველმოქმედებას. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნება, ჩვენი სპორტის განვითარებისათვის, თუ მთელი ერის ქველმოქმედება გამოვლინდება გაზეთისათვის გადახდილი თუნდაც ზედმეტი კაპიკებით. უნდა დადგინდეს გაზეთის ფასი სულ ცოტა 20 კაპიკი, რაც ბევრ სხვა გაზეთებთან შედარებით, მაინც ცოტაა, მაგრამ ზედმეტ მილიონს მისცემს ეროვნულ სპორტს. თქვენ ადრე, საკუთარ ფინანსურ გაჭირვებაზეც წერდით, მართლაც რაა 110 მანეთი ჰონორარი მთელ ნომერზე, ამასთან, არ გყავთ საკუთარი ხელფასიანი კორესპონდენტები საქართველოს რეგიონებში და სამოწყალოდ იღებთ ინფორმაციებს, დაბალია რედაქციის მუშაკთა ხელფასიც. ჩემი აზრით, სულ ცოტა, ათჯერ მაინც უნდა გაიზარდოს ნომრის ჰონორარი, ჟურნალისტთა ხელფასი კი ისეთი უნდა იყოს, მუშაკი უფრო მაღალი ანაზღაურების გამო სხვა გაზეთმა არ მიიზიდოს. ისე, დროა „ლელომ" იფიქროს დამოუკიდებლობაზე, რათა თავად იყოს მოგების გამგებელი, ცხადია, საგამოცემო ბაზისა და ქაღალდის ფონდის შენარჩუნებით.

**● დიდი მადლობა ჩვენი გაზეთის მხარდაჭერისთვის. ახლა გვინდა გკითხოთ, თავად ხეოკ-მა კონკრეტულად რა გააკეთა, რას აკეთებს ქართული სპორტის დამოუკიდებლობისთვის?**

— ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცე, ჯერ სეოკ-ის სტატუსის შესახებ მოგახსენებთ. სეოკ-ი არ არის სპორტის არც ერთი სახეობის ზემდგომი ორგანო და არ ხელმძღვანელობს მათ. სეოკ-ი აღიარებს დამოუკიდებელ ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს და თავის შემადგენლობაში ყავს ასეთი ფედერაციების წარმომადგენლები. სეოკ-ი აერთიანებს სპორტულ ფედერაციებს ოლიმპიურ მოძრაობაში და ხელმძღვანელობს ოლიმპიური თამაშებისთვის სპორტსმენთა მომზადებას და მონაწილეობას. სეოკ-ი ქარტიიდან გამომდინარე, არაა უფლებამოსილი, ჩაერიოს ფედერაციების თვითგამორკვევის პროცესში, მაგრამ მიესალმება და ზრუნავს, რომ ფედერაციებს ჰქონდეთ დამოუკიდებლობის სტატუსი. ეს პროცესი ჩვენთან დაწყებულია და ჩვენი სურვილია ყველა სპორტული ფედერაცია იყოს დამოუკიდებელი. აქვე ვიტყვი, რომ წლევანდელი წლის მიწურულს დაგეგმილია სეოკ-ის მეორე სესიის ჩატარება, რომლის მიზანია სხვა საკითხების განხილვასთან ერთად, სეოკ-ის შემადგენლობის გადახალისება იმდაგვარად, რომ მასში მხოლოდ დამოუკიდებელი ფედერაციების წარმომადგენლები შედიოდნენ. მე, როგორც სეოკ-ში სპორტული ფედერაციების კომისიის თავმჯდომარე, ვურჩევ ფედერაციებს, 15 დეკემბრამდე გაარკვიონ სეოკ-თან თავიანთი დამოკიდებულების საკითხი. ამასთან, ფედერაციის ხელმძღვანელობაში მოიზიდონ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები.

**● ბოლო შეკითხვა. თქვენი პირადი დამოკიდებულება საკავშირო ფედერაციებიდან გამოყოფის შედეგად იზოლაციაში მოქცევას რისკთან დაკავშირებით...**

— ჯერ ერთი, ჩვენ ცენტრიდან გამოყოფა გვინდა არა იზოლაციისთვის, არამედ დამოუკიდებელი მართვის დამკვიდრებისათვის და კონტაქტების არათუ შენარჩუნებისათვის, არამედ მისი გაღრმავებისათვის, როგორც დღევანდელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, ისე სხვა ქვეყნებთან. მეორე — სპორტული „ბლოკადის" შემთხვევაში ყველა დამოუკიდებელ ფედერაციას თავის გადაწყვეტილებით შეუძლია შეინარჩუნოს მისთვის სასურველი ტრადიციული კონტაქტები, თითოეულ სპორტსმენს კი, ვიდრე ის საბჭოთა კავშირის მოქალაქეთაც ითვლება, უფლებამოსილია იასპარეზოს ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაში.

**● ბოლოს ვიხდით, კიდევ ერთი შეკითხვა: საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წელიწადზე მეტია შეიქმნა, ხეოკ-ს კი შტაბბინა დღემდე არა აქვს. აქაც ცენტრია დამნაშავე?**

— ეს შეიძლება ჩვენი ზედმეტად მორიდებულობის ბრალიცაა. ამის გამოა, რომ არც ფინანსებზე გაგვიწვდია ხელი და არც შენობის გამოყოფისთვის მიგვიმართავს „აქციებისთვის", ვთვლი, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელშეწყობა საქართველოს ყველა მოქალაქის ზრუნვის საგანი უნდა იყოს. ეტყობა, ეს მოქალაქეობრივი მზრუნველობა საკმაოდ არ აღმოაჩნდა თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, ბატონ ნიკოს, რომელმაც პირადი ინიციატივა გამოიჩინა, თვალი დაადგა ერთ შენობას, ერთი პირობა მოიწადინა კიდეც, მაგრამ საქმე ბოლომდე ველარ მიიყვანა. ახლა კი კატეგორიულად საჭიროა გადაწყდეს ეს საკითხი რესპუბლიკის პირველი ხელმძღვანელების უშუალო მონდომებით, რადგან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობა აუცილებლად უნდა იყოს გამორჩეული, თვალშესახედი, ქალაქის ადმინისტრაციულ ცენტრში, კომუნიკაციებით უზრუნველყოფილი და კეთილმოწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელობას მრავალი გადაუდებელი საკითხები აქვს გადასაჭრელი, ვფიქრობთ, ჩვენს საუბარში წამოყენებულ სურვილებს გაგებით მოეკიდება, რადგან ეს ყველაფერი ფაქიზად მოსაპყრობი ეროვნული საქმეა.

## გაიმარჯვეს მოჭადრაკეებმა

**ბოლო** ხანს ბულგარეთიდან გამარჯვებულნი ბრუნდებიან ქართველი მოჭადრაკეები. ახლახან შუმენში დამთავრდა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, სადაც 15 ქვეყნის 170 მოჭადრაკე მონაწილეობდა. შეჯიბრება, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, ძალზე საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

შესანიშნავად ითამაშა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, ოსტატმა თამაზ ტაბატაძემ. მან დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და 7 ქულით II-IV ადგილები გაიყო. კოეფიციენტით მას III ადგილი ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ თ. ტაბატაძემ 30 ერთეულით გაიუმჯობესა თავისი ინდივიდუალური კოეფიციენტი. პირველობა კი 7,5 ქულით არავის დაუთმო კიშინიოველმა საერთაშორისო ოსტატმა გერმან ტიტოვმა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე საერთაშორისო ოსტატი თამარ ხუგაშვილი და ოსტატი ქეთევან მელაშვილი, რომლებმაც ქალთა შორის 7-7 ქულით II-III ადგილები გაინაწილეს.

## მოკლედ

**ჩატარდა** ტყიბულის საშემოდგომო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა მძლეოსნობა, ცურვა, ფრენბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, სიმძიმეების აწევა, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა ინდუსტრიული ტექნიკუმი. მეორე ადგილი დაიკავა ლენინის სახელობის შახტის, მესამე — მე-19 პროფტექნიკური სასწავლებლის წარმომადგენლებმა.

**ელბერდ ბაქრაძე**
ტყიბული (დეპეშით)

# ბარსელონის ოლიმპიადამდე მაინც...

**ნამდვილად** გავიხარე, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიაზე გარდამავალი პერიოდი გამოცხადდა. ეს ბრძნული გადაწყვეტილება იყო. დღეს თუ რომელიმე დარგს აუცილებლად ესაჭიროება გარდამავალი პერიოდი, მათ შორის უთუოდ არის სპორტი. რატომ ვამბობ ამას? იმიტომ, რომ უეცარი იზოლაცია კარგს არაფერს მოგვიტანს და, პირდაპირ ვთქვათ, დღეს ქართული სპორტი ის ერთ-ერთი დარგია, შეიძლება ერთადერთიც კი, სადაც სისტემა გამართულად მუშაობს და საბოლოო შედეგიც ყველამ ვიცით — „პროდუქცია" საერთაშორისო სტანდარტებს უთანაბრდება, განსაკუთრებით ბოლო წლებში. იქნებ თქვენ შემახსენოთ კიდევ რითი ვიწონებთ ასე თავს? „ლელოც" ხშირად წერს და მეც გავიმეორებ, „ასეთი წარმატებებით მსოფლიოს ბევრი მაღალგანათლებული ქვეყანაც იამაყებდა". 1988 წელს ხომ სეულში ასპარეზობის მონაწილე 160 ქვეყნიდან 140-ს გაუსწარით მოგებული მედლებით და არა 130-ს, როგორც თქვენ წერდით (ალბათ კორექტურა იყო გაზეთში). 140 ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის გამოანგარიშება და საქართველოსთან შეფარდება თქვენთვის მიმინდვია. ისე, საქმე თუ მოსახლეობაზე მიდგება, ვერც ჩინეთმა და ვერც ინდოეთმა ერთი მედალიც ვერ მოიპოვეს სეულში. ჩვენ კი 12 მედალი ჩამოვიტანეთ შინ, იმდენი, რამდენიც ბელგიამ, მექსიკამ, ავსტრიამ, პორტუგალიამ, ჩილემ, საბერძნეთმა, კოლუმბიამ, პერუმ, ირანმა, ინდონეზიამ ერთად აღებული.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ გარდამავალ პერიოდში აუცილებელია შევინარჩუნოთ სპორტსმენთა მომზადების აპრობირებული სისტემა, რომელსაც საქართველოს სპორტსახკომი უდგას სათავეში. სპორტული ორგანიზაციების აჩქარებულმა დაშლა-გაერთიანებამ კარგი არაფერი მოგვიტანა, ეს ამ რამდენიმე წლის წინათ უამრავი სპორტული საზოგადოების ერთ ორგანიზაციად გაერთიანებამაც გვიჩვენა. ახლა, მგონი ეს ორგანიზაცია კვლავ ნაწევრდება, ძველ გზას უბრუნდება. ყოველ შემთხვევაში, არამც და არამც არ შეიძლება საქრათველოში სპორტსმენთა აღზრდა-დაოსტატების მწყობრი სისტემის მოშლა ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებამდე მაინც, მერე კი, მერე ვნახოთ...

პატივისცემით

**რ. ხანეგლიძე,**
**ქართული სპორტის დიდი მოყვარული და სტატისტიკოსი.**

ჟამი ფიქრისა.
ჟამი განსჯისა

# „ძველი ნაცნობები" — დღემდე გადაუჭრელი პრობლემები

**ქართველი აკრობატები ნებისმიერ საერთაშორისო თუ საკავშირო ტურნირზე ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებიან. არც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ყოფილა ამ მხრივ გამონაკლისი. თუ სასპარტაკიადო ტურნირების ისტორიას გადავხედავთ, ჩვენი აკრობატები ყოველთვის ლიდერთა შორის იმყოფებოდნენ, უმეტეს შემთხვევაში — რუსეთისა და უკრაინის ძლიერი გუნდების შემდეგ; რასაკვირველია, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდებოდა.**

დაგვეთანხმებით, შესანიშნავი სტაბილურობაა. ამჯერადაც ასე იყო: რუსეთის გუნდს, ასე იყო თუ ისე, „ჩვეული" პირველი ადგილი არგუნეს, უკრაინელები მეორენი იყვნენ, მესამეზე კი საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა. მინსკში, სადაც აკრობატები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს, ჩვენი ნაკრების ღირსებას 17 სპორტსმენი იცავდა, მკითხველს რა ხანია ვაუწყეთ, ცალკეულ სახეობებში მოასპარეზეთა შედეგები, დღეს კი უფრო ვრცლად გესაუბრებით ამ წარმატებების შესახებ — შემოგთავაზებთ საუბარს საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა აკრობატიკის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტსკოლის მწვრთნელთან — თამაზ ბუზიაშვილთან. იგი, სხვა მწვრთნელებთან ერთად, უშუალოდ ხელმძღვანელობდა ნაკრები გუნდის მზადებას სპარტაკიადისთვის, მინსკშიც თან ახლდა ჩვენს აკრობატებს და, ბუნებრივია, ყველა პრობლემა, ყველა მიზეზი წარმატებისა თუ წარუმატებლობისა, მისთვის ნაცნობია.



**● ბატონო თამაზ, ჰქონდათ თუ არა ჩვენს აკრობატებს უკეთესი, მაგალითად, II ადგილის დაკავების შანსი?**

— ჯერ გეტყვით, რომ ჩვენმა გოგო-ბიჭებმა, მათმა მწვრთნელებმა, ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ღირსეულად გამოვსულიყავით სპარტაკიადაზე. სპორტსმენთა უმრავლესობამ ის შედეგი აჩვენა, რასაც მათგან ველოდით, რასაც ტურნირის წინ ვგეგმავდით, მაგრამ იყო სამწუხარო გამონაკლისებიც. მაგალითად, გოგონათა სამეულს — ინგა მეტრეველს, ფატი გასიშვილსა და ეკა ბერიძეს — ვფიქრობდით, საუკეთესო ხუთეულში მოხვედრა არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ორმაგი მალაყის შესრულებისას ინგა მეტრეველმა ზედმეტი მოძრაობა გააკეთა, დავარდა და სამეულიც VIII ადგილზე გავიდა. ასევე, გოგონათა წყვილს — მაია მელიაშვილსა და ლალი შალიბაშვილს — უკეთ შეეძლო გამოსვლა, მაგრამ შეჯიბრების პირველსავე დღეს, სავალდებულო ელემენტების შესრულებისას, ლ. შალიბაშვილმა ხელი იტკინა და „დუეტიც" XII ადგილზე აღმოჩნდა. ჩვენმა „მოხტუნავე" გოგონამ თეა ხორხელმა კი თავის შესაძლებლობებზე უარესად იასპარეზა და ოცეულს მიღმა დაიკავა ადგილი; მართალია, გუნდს ერთი ქულა მაინც შესძინა, მაგრამ მას გაცილებით უკეთ შეეძლო გამოსვლა. ყველაფერმა ამან, ბუნებრივია, დაგვაკარგვინა ქულათა გარკვეული რაოდენობა, თორემ უკრაინის ძლიერი გუნდი, ჩვენთვის არ წარმოადგენდა გადაულახავ წინაღობას. თუმცა, მოულოდნელი მაინც არაფერი მომხდარა — სპორტი სპორტია და, თუ ერთმა შეცდომა დაუშვა, სხვები ასწორებდნენ



მას. გუნდში გვყავდნენ ისეთი სპორტსმენებიც, რომელთაც მართლაც მოულოდნელი, მაღალი შედეგი აჩვენეს, III ადგილი კი, ასე ვთქვათ, ჩვენთვის პროგრამა-მაქსიმუმი გახლდათ.

**● საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებს მხოლოდ რამდენიმე ქალაქი „ამარაგებს" მაღალი კლასის აკრობატებით. ეს ერთგვარი სენია ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრებისა. თითქმის ყოველ სახეობაში მთელი სიმძიმე ერთეულთა მხრებზე გადადის...**

— მართალია! ნაკრებების ძირითად ბირთვს თბილისელი, ქუთაისელი, ბათუმელი და რუსთაველი აკრობატები შეადგენენ. ადრე სოხუმს და ცხინვალს თავისი წვლილი შეჰქონდათ ნაკრები გუნდების დაკომპლექტებაში, მაგრამ, რატომღაც, ამ ქალაქებში დაიხურა აკრობატიკის ერთ დროს ძლიერი კერები. ზემოთ ნახსენებ ქალაქთა ოთხეულს უკანასკნელ ხანს მხარში ამოუდგნენ სამტრედია, ჭიათურა და, ვფიქრობ, უახლოეს ხანებში ეს ქალაქებიც შემოგვაშველებენ ნიჭიერ სპორტსმენებს. აკრობატიკის განვითარების ვიწრო გეოგრაფიული არეალი კი უმთავრესად მაღალხარისხოვანი ბაზებისა და კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირით არის გამოწვეული. თავად განსაჯეთ: თბილისში სამად-სამი დარბაზია, სადაც შეიძლება მოზარდებთან სრულფასოვანი საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება — ჩვენი, ოლიმპიური რეზერვების სასპორტო სკოლის, სპორტსაზოგადოება „მართვეს" და არმიის სპორტული კლუბების დარბაზები, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, აკრობატიკაში ვარჯიშის მსურველთა დიდ რაოდენობას. დედაქალაქში რომ ასეთი მდგომარეობაა, სხვა ქალაქებში, ტრადიციულად, უარესად არის საქმე.

აი, ბათუმში კი მშვენიერი სატანვარჯიშო კომპლექსია, მაგრამ ამხელა ქალაქში მხოლოდ ერთი კაცი — იური მურვანიძე უძღვება აკრობატიკას. არადა, მწვრთნელთა რაოდენობის გაზრდა, თავისთავად, წინ წაგვწევს ბათუმშიც და მთელ რესპუბლიკაშიც. დიახ, სწორედ მწვრთნელთა დეფიციტია მიზეზი სხვა ქალაქებში დაბალი სპორტული მაჩვენებლებისა.

**● მაინც რაში ხედავთ გამოსავალს?**

— უნდა დავაინტერესოთ მწვრთნელები, შევუქმნათ ნორმალური სამუშაო პირობები, ხელი მოვკიდოთ დარბაზების მშენებლობას. ამ მხრივ, ალბათ, მოკლე ხანში შესამჩნევად გამოსწორდება მდგომარეობა. სახალხო განათლების სამინისტრო ავჭალაში 120-ე სკოლის ბაზაზე აშენებს აკრობატიკის კომპლექსს, რომელიც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კერა იქნება სპორტის ამ სახეობისა. მაგრამ თბილისში აშენებული კომპლექსი, ცხადია, ვერაფერში წაადგება ბათუმელ, სოხუმელ, რუსთაველ სპორტსმენებს. საჭიროა, ყველამ მიბაძოს განათლების სამინისტროს და, ვისაც რა შეუძლია, იმის კვალობაზე შეუწყოს ხელი აკრობატიკის განვითარებას საქართველოში.

ესაუბრა **ლევან ჯავახიშვილი**

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი

**დამთავრდა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატი I ჯგუფში მოასპარეზე გუნდებს შორის. უმაღლესი ჯგუფის საგზურები მოიპოვეს ვანის „სულორმა" და ზესტაფონის „მარგვეთმა". ჯგუფი დატოვა სამმა კოლექტივმა: თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდებმა, ყვარლის „დურუჯმა". ახლა გაგაცნობთ 36-ე, 37-ე და 38-ე ტურების ტექნიკურ შედეგებს.

### 36-ე ტური

**„ჩიხურა" (საჩხერე) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 6:3. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ბერძენიძე, დეკანოიძე-2, მწყერაშვილი-3 („ჩიხურა"), მაღრაძე, კიურჯიევი-2 (ტექ. უნივ.).

**„არმაზი" (მცხეთა) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:1. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლი: ლობჟანიძე („დურუჯი").

**„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ხუჯაძე, წითელაშვილი („მარგვეთი").

**„სქური" (წალენჯიხა) „შუქურა" (ქობულეთი) 4:1. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ჩალიგავა, ნიკოლაიშვილი, კვარაცხელია, მორგოშია („სქური"), გ. კომახიძე („შუქურა").

**„სულორი" (ვანი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 3:1. მსაჯი გ. ხერხეულიძე (თბილისი).** გოლები: ხურცილავა, ბრეგვაძე, პაიკიძე („სულორი"), თედეშვილი („ბახტრიონი").

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 0:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: გელაშვილი, თედეევი-2, („ქართლი").

**„არაგვი" (დუშეთი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლები: მოსიაშვილი, მიმინოშვილი („არაგვი"), ტეფნაძე („მალაროელი").

განზრახ ხელით თამაშისთვის გაფრთხილებულია მ. ქაშაკაშვილი („მალაროელი"), მსაჯთან კამათისთვის გ. მიმინოშვილი („არაგვი").

**„სიონი" (ბოლნისი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4:6. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლები: გაბაშვილი, ჯაგოვი-3 („სიონი"), ბაწაშვილი, შუბითიძე-2, ზაალიშვილი-3 („ალაზანი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „იმერეთი" (ხონი) 3:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ახალაია, ბენდელიანი-2 („სამეგრელო"), წივწივაძე („იმერეთი").

**„სიხარული-90" (გაგრა) — „კახეთი" (თელავი) 2:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი).** გოლები: ჭუველიკიანი, გოგიაშვილი („სიხარული-90"), სანიკიძე („კახეთი").

### 37-ე ტური

**„მალაროელი" (ჭიათურა) — „სიხარული-90" (გაგრა) 4:2. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: ჯაფარიძე, გერაძე, სევასტოპულო-2 („მალაროელი"), მინდაძე, გოგიაშვილი („სიხარული-90").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სქური" (წალენჯიხა) 4:1. მსაჯი მ. ჭელიძე,** გოლები: ნ. თედეშვილი-2, ზ. თედეშვილი, მთივლიშვილი („ბახტრიონი"), ჯოლოხავა („სქური").

**„შუქურა" (ქობულეთი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 2:0. მსაჯი გ. ხერხეულიძე (თბილისი).** გოლები: ჯიჯავაძე, გოგმაჩაძე („შუქურა").

**„იმერეთი" (ხონი) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 2:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე. (თბილისი).** გოლები: მოსეშვილი, ნოზაძე („იმერეთი"), ამაშუკელი, ტოგონიძე (ფიზკ. ინსტ.).
განზრახ ხელით თამაშისათვის გაფრთხილებულია თ. დოლიძე, არასპორტული საქციელისთვის გაძევებულია ქ. კვეტენაძე (ორივე — ფიზკ. ინსტ.).

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „მარგვეთი" (ზესტაფონი) 2:5. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).** გოლები: კიკნაძე-4, წითელაშვილი („მარგვეთი"), ჯ. გაგნიძე-2 („ქართლი").
მანვე ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი.

**„საპოვნელა" (თერჯოლა) — „სიონი" (ბოლნისი) 4:2. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: ხვარეშია, გურაბანიძე, ჩინჩალაძე, ფანჩულიძე („საპოვნელა"), ჯაგოვი-2 („სიონი").

**„ალაზანი" (გურჯაანი) — „არმაზი" (მცხეთა) 6:0. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ბაწაშვილი, თეთრაული, ზაალიშვილი-4 („ალაზანი").

**„დურუჯი" (ყვარელი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 5:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).** გოლები: რეშეტოვი, გრიგალაუნასი, ლობჟანიძე-3 („დურუჯი"), კაპარავა (ტექ. უნივ.).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია პ. ჩხეიძე (ტექნ. უნივ.).

**„კახეთი" (თელავი) — „სულორი" (ვანი) 1:2. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).** გოლები: ხორხელი („კახეთი"), ველულაშვილი, ხურცილავა („სულორი").

9 ნოემბერს გაიმართა 32-ე ტურის გამოტოვებული შეხვედრა.

**„არაგვი" (დუშეთი) — „იმერეთი" (ხონი) 1:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: მოსიაშვილი („არაგვი"), თვალაბეიშვილი („იმერეთი").

### 38-ე ტური

**„ჩიხურა" (საჩხერე) — „დურუჯი" (ყვარელი) 4:5. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).** გოლები: ალავიძე, მწყერაშვილი-3 („ჩიხურა"), კლიშაუსკასი, მურმანიშვილი, ელიზბარაშვილი-3 („დურუჯი").

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:3. მსაჯი გ. ხერხეულიძე (თბილისი).** გოლები: ავალიანი, ხოსროშვილი, გეგეშიძე (ტექ. უნივ.), შუბითიძე, ბაწაშვილი, ზაალიშვილი („ალაზანი").

**„არმაზი" (მცხეთა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).** გოლი: ბაქრაძე („არმაზი").

**„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „იმერეთი" (ხონი) 8:4. მსაჯი მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).** გოლები: გაბრიჭიძე, აკოფიანი, კიკნაძე-6 („მარგვეთი"), ბერძენიშვილი, ცინცაძე-3 („იმერეთი").

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი). — „შუქურა" (ქობულეთი) 3:1. მსაჯი ს. ქვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: რამაზაშვილი, ტოგონიძე-2 (ფიზკ. ინსტ.), გოგმაჩაძე („შუქურა").
მოწინააღმდეგესთან კამათისთვის გაფრთხილებულია ა. ანანიძე, ხოლო მსაჯთან კამათისთვის — გ. კომახიძე (ორივე — „შუქურა").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ბახტრიონი" (ახმეტა) [illegible] მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: პერტია („სამეგრელო"), მთივლიშვილი, ნომიკურიძე, თედეშვილი („ბახტრიონი").

**„სულორი" (ვანი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 5:3. მსაჯი ს. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ბრეგვაძე, პაიკიძე-3, კანკაძე („სულორი"), სამხარაძე, ერაძე-2 („მალაროელი").

**„სიხარული-90" (გაგრა) — „არაგვი" (დუშეთი) 0:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).**

**„სიონი" (ბოლნისი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 7:4. მსაჯი ვ. ეჯიბია, (თბილისი).** გოლები: თურმანიძე-2, ბად. უგულავა, ი. ჯაგოვი-4 („სიონი"), გიგუაშვილი-2, გელაშვილი-2 („ქართლი").

თელავის „კახეთი" სათამაშოდ არ გამოცხადდა წალენჯიხაში „სქურთან", რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

37-ე ტურის მატჩში დუშეთის „არაგვს" წაგება ჩაეთვალა საჩხერის „ჩიხურასთან".

## გათამაშების ცხრილი

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი" (ვანი) | 38 | 28 | 4 | 6 | 21-55 | 88 |
| „მარგვეთი" (ზესტაფონი) | 38 | 28 | 3 | 7 | 102-44 | 87 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 38 | 26 | 5 | 7 | 83-38 | 83 |
| „კახეთი" (თელავი) | 38 | 19 | 7 | 12 | 67-46 | 64 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 38 | 15 | 13 | 10 | 57-54 | 58 |
| „სიხარული-90" (გაგრა) | 38 | 16 | 5 | 17 | 67-55 | 53 |
| „იმერეთი" (ხონი) | 38 | 14 | 9 | 15 | 51-64 | 51 |
| „ქართლი" (გორის რ-ნი) | 38 | 15 | 5 | 18 | 64-64 | 50 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 38 | 12 | 13 | 13 | 56-62 | 49 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 38 | 14 | 6 | 18 | 72-73 | 48 |
| „საპოვნელა" (თერჯოლა) | 38 | 14 | 6 | 18 | 50-55 | 48 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 38 | 14 | 6 | 18 | 53-66 | 48 |
| „მალაროელი" (ჭიათურა) | 38 | 14 | 6 | 18 | 60-72 | 48 |
| „სიონი" (ბოლნისი) | 38 | 12 | 9 | 17 | 81-85 | 45 |
| „არმაზი" (მცხეთა) | 38 | 12 | 9 | 17 | 50-70 | 45 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 38 | 12 | 9 | 17 | 53-72 | 45 |
| „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) | 38 | 10 | 14 | 14 | 49-54 | 44 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 38 | 13 | 4 | 21 | 57-67 | 43 |
| სტუ | 38 | 11 | 2 | 25 | 52-95 | 37 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 38 | 9 | 9 | 20 | 39-65 | 36 |

# ავთანდილ ღოღობერიძის პრიზზე

**საქართველოში** ფეხბურთის შემდგომი განვითარებისა და ნაკრები გუნდებისათვის კანდიდატთა შერჩევის მიზნით წლევანდელი წლიდან, საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ, ჩატარდება გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის ტურნირი. ეს შეჯიბრება ადრეც იმართებოდა, მაგრამ ასეთი წარმომადგენლობით, როგორც წელს, ჯერ არ ჩატარებულა. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ოთხი გუნდი: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის ნაკრები (მწვრთნელები: რ. შენგელია, ბ. ქარქაშაძე), ეროვნული ჩემპიონატის I ჯგუფის ნაკრები (მწვრთნელები: თ. სულაქველიძე, ჯ. ანთიძე), საქართველოს ჩემპიონატის II ჯგუფის ნაკრები (მწვრთნელები: ო. რუხაძე, გ. გილიგაშვილი) და 1969 წელს დაბადებულ ახალგაზრდა მოთამაშეთა ნაკრები გუნდი (მწვრთნელები: ვ. ელოშვილი, ჯ. თანანაშვილი).

ასპარეზობა, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდება, 23 ნოემბერს დაიწყება. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან: ახალგაზრდული ნაკრები — I ჯგუფის ნაკრები (ამ შეხვედრას თელავი უმასპინძლებს) და უმაღლესი ჯგუფის ნაკრები — II ჯგუფის ნაკრები (ეს მატჩი ზუგდიდში გაიმართება). გამარჯვებული გუნდები 25 ნოემბერს სოხუმში შეხვდებიან ერთმანეთს. პირველ ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდება ავთანდილ ღოღობერიძის სახელობის გარდამავალი თასით. გამარჯვებულები ფულად პრემიებსაც მიიღებენ.

# მატჩი არ შედგება

**გერმანიის** გაზეთები ბევრს წერენ იმ ხულიგნობაზე, რომელიც ამ ქვეყანაში ხდება საფეხბურთო მატჩების დროს. სულ ახლახან ერთ-ერთი ასეთი ვანდალური აქტი მოხდა ლაიპციგში, სადაც მიმდინარეობდა მატჩი ადგილობრივ და ბერლინელ ფეხბურთელებს შორის. ტრიბუნებზე ატყდა ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც ერთ-ერთი მაყურებელი იმსხვერპლა კიდეც.

21 ნოემბერს სწორედ ლაიპციგში უნდა შემდგარიყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების შეხვედრა, რის შემდეგ ნავარაუდევი იყო ამ ორი ფედერაციის გაერთიანება, კერძოდ, უქმდებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები. ამ მატჩის მოწყობა ჩაფიქრებული იყო როგორც დიდი საფეხბურთო ზეიმი, მაგრამ ორივე ქვეყნის ოფიციალურმა ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ გამორიცხული არაა დიდი უსიამოვნებანი, ამიტომაც გაერთიანებული ქვეყნის საფეხბურთო მეთაურებმა და ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტეს, ეს მატჩი არ შედგეს.

# ევროპის ჩემპიონატი

**ბანმლილ** ოთხშაბათს გაიმართა 1992 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები საკლასიფიკაციო ჯგუფებში. ფინალური გათამაშება, როგორც ცნობილია, გაიმართება შვეციაში.

### I ჯგუფი

შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ჩეხოსლოვაკიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა. ესპანელებმა უკვე მე-13 წუთზე გაიტანეს გოლი (რობერტო). რამდენიმე წუთის შემდეგ დანეკმა გაათანაბრა ანგარიში. მეორე ტაიმის დასაწყისში ესპანელები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ (კარლოსი) და დანეკმა ამჯერადაც აღადგინა თანაფარდობა — 2:2. თამაშის დამთავრებას 12 წუთი აკლდა, როცა მორავჩიკმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა ესპანელთა კარში — 3:2.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 2 |
| ისლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 2 |
| ალბანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

### II ჯგუფი

სან-მარინოს რესპუბლიკის ნაკრები პირველად მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატში. ამ გუნდმა თავის მინდორზე მიიღო შვეიცარიელები. შედარებით გამოცდილმა სტუმრებმა იოლად გაიმარჯვეს — 4:0 (გოლები — სუტერი, შაპიუიზა, ტურკი და შასო).

ბულგარელები შინ შეხვდნენ შოტლანდიის გუნდს. მე-9 წუთზე დაწინაურდნენ შოტლანდიელები (მაკკოისტი), ბულგარელები მარცხს გადაარჩინა ტოდოროვმა, რომელმაც 70-ე წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 5 |
| შვეიცარია | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| სან-მარინო | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |

### III ჯგუფი

ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით აჯობეს კვიპროსის გუნდს. სორლოტის ბოინენისა და ბრანდჰაუგის 3 გოლს კვიპროსელებმა ვერც ერთით ვერ უპასუხეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნგრეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 4 |
| სსრ კავშირი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-0 | 3 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 3 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-7 | 0 |

### IV ჯგუფი

ამ ჯგუფში გაიმართა ორი შეხვედრა. ჯერ კიდევ აშკარად ფორმაში არაა ავსტრიის ნაკრები, რომელმაც თავის მინდორზე მხოლოდ ქულა აიღო ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდთან შეხვედრაში — 0:0. ამავე დღეს იუგოსლაველებმა სტუმრად ანგარიშით 2:0 დაამარცხეს დანიის ნაკრები, ბურთები გაიტანეს ბაჯარევიჩმა და იარნიმ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-4 | 3 |
| ფერ. კუნძ. | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 2 |
| ჩრ. ირლანდია | 3 | 0 | 2 | 1 | 1-3 | 2 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

### V ჯგუფი

ლუქსემბურგელი ფეხბურთელები თავიანთ მინდორზე დამარცხდნენ უელსის ნაკრებთან შეხვედრაში — 0:1, ბურთი გაიტანა რაშმა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 4 |
| გფრ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 2 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |

### VII ჯგუფი

ირლანდიისა და ინგლისის გუნდების ტრადიციულად დაძაბული შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. დაწინაურდნენ ირლანდიელები (კასკარინო), თანაფარდობა აღადგინა პლატმა. ამავე დღეს თურქებმა თავიანთ მინდორზე წააგეს პოლონეთის ნაკრებთან — 0:1. ბურთი გაიტანა ძეკანოვსკიმ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 3 |
| ინგლისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 2 |
| თურქეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-6 | 0 |

# 20 თვე წაუგებლად

განვლილ შაბათს ტირანაში გაიმართა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში ალბანეთისა და საფრანგეთის გუნდებს შორის. ფრანგებს სრული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. მათ აკლდათ ორი წამყვანი თავდამსხმელი პაპენი და კანტონა, ვერ გამოიყენეს რამდენიმე კარგი შესაძლებლობა და საბოლოოდ გაიმარჯვეს მხოლოდ 1:0.

I შესარჩევ ჯგუფში ფრანგებმა 6 შესაძლებლიდან 6 ქულა დააგროვეს და ლიდერობენ. ამ გუნდების გარდა I ჯგუფში გამოდიან ჩეხოსლოვაკიის, ესპანეთისა და ისლანდიის წარმომადგენლებიც.

საფრანგეთის ნაკრები 1989 წლის მარტში დამარცხდა შოტლანდიელებთან მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში. მას შემდეგ გუნდმა 13 შეხვედრა გამართა დაუმარცხებლად.

# „ქარიშხალი ჭიქა წყალში“

**ნიუ-იორკი.** ნბა-ს კალათბურთელთა ჩემპიონატში უკვე ცხრა ტური გათამაშდა. დასავლეთის კონფერენციის (ლიგის) წყნარი ოკეანის დივიზიონში საკმაოდ წარმატებით ასპარეზობს „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის“ კლუბი, რომელმაც ცხრა შეხვედრა მოიგო ზედიზედ. მაგრამ საზოგადოებრიობის ყურადღება ამ კლუბს იმდენად თამაშით არ მიუპყრია, რამდენადაც სკანდალით, რომელიც გუნდის წევრის, იუგოსლავიელი დრაჟენ პეტროვიჩის ინტერვიუმ გამოიწვია ადგილობრივ გაზეთ „ორეგონიანში“. კორესპონდენტთან საუბარში პეტროვიჩმა წყენა გამოთქვა იმის გამო, რომ მწვრთნელები ბოლომდე არ იყენებენ მის შესაძლებლობებს და მხოლოდ მცირე ხნით გამოჰყავთ იგი მოედანზე. იუგოსლავიელმა კალათბურთელმა გადაკვრით განაცხადა, რომ ამის გამო შესაძლოა შინ დაბრუნდეს.

პეტროვიჩის ინტერვიუმ კლუბის ხელმძღვანელთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. იგი დააჯარიმეს 500 დოლარით (ამ თანხით კალათბურთელის დაჯარიმება გასაჩივრებას არ ექვემდებარება). მწვრთნელის — რიკ ადელმანის თქმით, უმჯობესი იყო კალათბურთელს მისთვის მიემართა პრეტენზიებით. ამით თვითონაც და კლუბიც თავიდან აიცილებდა სკანდალს.

გუნდის ხელმძღვანელთა ასეთ რეაქციას, პეტროვიჩი, ცხადია, არ მოელოდა. აპ-ს კორესპონდენტთან საუბარში მან დაუფარავად თქვა:

— იუგოსლავიაში რომ არ შეიძლება ყველაფერზე გულახდილად ლაპარაკი, ეს კარგად ვიცოდი, მაგრამ, თუ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ასეთი სიტუაცია იყო, ამას ვერასდროს ვიფიქრებდი.

მორიგ შეხვედრაში „პორტლენდმა“ დაამარცხა „დენვერ ნაგეთსი“ — 143:112. ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს დაჰყო ამ დღეს მოედანზე პეტროვიჩმა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ იგი სნაიპერთა სიაში არ აღმოჩნდა. ყველაზე მეტი ქულა „პორტლენდს“ (31) კლაიდ დრექსლერმა შესძინა.



შუა-დასავლეთის დივიზიონში დაწინაურებულია „სან-ანტონიო „სპურსი“ (ხუთი გამარჯვება და ორი მარცხი).

აღმოსავლეთ კონფერენციაში ლიდერები არიან: ცენტრალურ დივიზიონში — შარშანდელი ჩემპიონი „დეტროიტ პისტონსი“ (ექვსი გამარჯვება, ორი მარცხი), ატლანტის დივიზიონში — „ბოსტონ სელტიქსი“ (7 გამარჯვება, ორი მარცხი).

# ფავორიტთა მარცხი

**ფრანკფურტსა** და ნიუ-იორკში გაიმართა ჩოგბურთელთა ორი დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლებიც ფავორიტთა მარცხით აღინიშნა.

**ფრანკფურტი.** ვაჟთა ასპარეზობის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს შვედმა სტეფან ედბერგმა და ამერიკელმა ანდრე აგასიმ. ამ უკანასკნელმა დაამარცხა უიმბლდონის ტურნირის წლევანდელი ჩემპიონი (5:7; 7:6; 7:5; 6:2) და მთავარი პრიზი დაიმსახურა, რომელიც 950 ათას დოლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ ფრანკფურტის ტურნირს ჩოგბურთელთა წრეში, სხვაგვარად, პროფესიონალთა ასოციაციის მსოფლიო ჩემპიონატსაც უწოდებენ და მასში, ტრადიციულად, სეზონის შედეგების მიხედვით 8 უძლიერესი სპორტსმენი გამოდის.

**ნიუ-იორკი.** „ვირჯინია სლიმზის“ ფინალური ტურნირი, რომელიც „მასტერსის“ სახელსაც ატარებს, სხვაგვარად ქალთა მსოფლიო ჩემპიონატადაც იწოდება. და აი ამ ავტორიტეტული შეჯიბრების ფინალში გავიდნენ 16 წლის იუგოსლავიელი მონიკა სელეში და არგენტინელი გაბრიელა საბატინი. გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ხუთი პარტიისაგან შედგებოდა, იუგოსლავიელმა ჩოგბურთელმა მოიგო (6:4, 5:7, 3:6, 6:4, 6:2) და ჯილდოდ 250 ათასი დოლარი დაიმსახურა.

ამ ასპარეზობის შემდეგ სელეში მსოფლიო რეიტინგში მესამედან მეორე ადგილზე გადავიდა. პირველ ადგილს კი ნიუ-იორკში საბატინისთან დამარცხების მიუხედავად შტეფი გრაფი (გერმანია) ინარჩუნებს. მსოფლიოს კიდევ ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს მარტინა ნავრატილოვას (აშშ) ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია. მან ამ დღეებში მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# ასეთია ბორის ბეკერი...

**ბორის** ბეკერის ვარსკვლავი მსოფლიო სპორტის ცის კაბადონზე ამობრწყინდა მაშინ, როცა ყველა ადგილი და როლი თანამედროვე ჩოგბურთში უკვე განაწილებული იყო, როცა ყველა მიმართულებას ჰყავდა თავისი ლიდერი, რომელიც განსაზღვრავდა ამ უძველესი თამაშის აწმყოსა და მომავალს. ჩოგბურთის მოყვარულებს ხიბლავდა კონორსის მებრძოლი სული, ბორგის შეუვალობა დაცვაში, ნოას არტისტიზმი და მაკინროუს მაღალი, დახვეწილი ტექნიკა. და აი, ამ საყოველთაო თანხმობისა და ჰარმონიის პირობებში მოვიდა ბეკერი და თან მოიტანა ახალი სტილი — ძლიერი, ვაჟკაცური, უმეტეს წილად დიდ ფიზიკურ ძალაზე დაფუძნებული. მარტინა ნავრატილოვას თქმით, ბეკერს მარჯვენა ხელში „ფაუსტპატრონის“ ძალა აქვს, მაგრამ იგი, ამავე დროს, ტექნიკურადაც გამორჩეულია, აზროვნების ხასიათით კი მრავალპლანიან კომპიუტერს მოგაგონებთ.

იგი სულ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა ინდიანოპოლისის ტურნირზე ბურთის მიმწოდებელმა ბიჭებმა კერპად გამოაცხადეს: თითო დოლარი შეაგროვეს და ფერადი მაისური უყიდეს. ბეკერს ამ შეჯიბრებაში არაფრით გამოურჩევია თავი (ტურნირი ივან ლენდლმა მოიგო), მაგრამ ბავშვებმა მასში მომავალი ჩემპიონი დაინახეს.

ბეკერის სპორტულ ბიოგრაფიაში რამდენიმე მომენტის გამოყოფა შეიძლება. გარეგნულად ისინი შეიძლება არც იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ, ამის მიუხედავად, ზუსტ წარმოდგენას ქმნიან ამ უდაოდ გამორჩეული პიროვნების ცხოვრების ნაკლებად ცნობილ დეტალებზე.

1984 წელს დასავლეთ გერმანიის ჩოგბურთის ფედერაციის მწვრთნელმა ბოშმა ბეკერი თავის მეგობარს, საკმაოდ ცნობილ მენეჯერს იონ ცირიაკს წარუდგინა. ეს უკანასკნელი იმ დროს ეძებდა მოწაფეს, რომელსაც ექნებოდა უნარი სათანადო ვარჯიშის შემდეგ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი გამხდარიყო. ცირიაკი ადრე თვითონაც კარგი ჩოგბურთელი იყო და ბეკერში მომავალი „ვარსკვლავის“ თვისებები დაინახა.

იმ წლის გაზაფხულის ერთ საღამოს ცირიაკმა დაიქირავა „როლს-როისი“ და არქიტექტორ კარლ-ჰაინც ბეკერის ბინას მიადგა. მას სურდა მდიდარი მენეჯერის შთაბეჭდილება მოეხდინა და „როლს-როისიც“ ამისთვის დასჭირდა.

შედგა მოკლე, მაგრამ საქმიანი საუბარი მომავალი ჩემპიონის მამასთან:

ცირიაკი: „თუ თქვენ მზად ხართ მიიღოთ ჩემი წინადადება, ამიერიდან იშვიათად ნახავთ ბორისს, მაგრამ გაზეთებიდან ბევრ რამეს შეიტყობთ მასზე“.

საქმიან მენეჯერს უკვე გამზადებული ჰქონდა ხელშეკრულების პირობები: ცირიაკი ჩოგბურთის ფედერაციას უხდიდა 20 ათას მარკას, რათა გამოესყიდა ბეკერის კონტრაქტი. სანაცვლოდ ყველა შემდგომი სარეკლამო შემოსავლიდან 30 პროცენტს ითხოვდა და კიდევ 10 პროცენტს — თავისი მოწაფის ჰონორარიდან, ამასთან, ცირიაკი, პირობას დებდა, რომ მალე ახალგაზრდა ბეკერს ექსტრაკლასის მოთამაშედ აღზრდიდა. კარლ-ჰაინცმა და მისმა მეუღლემ ელვირამ მენეჯერის პირობები მიიღეს. ცირიაკის გუნდის მწვრთნელად იქვე, ბეკერის ბინაზე, ბოში დაინიშნა. ესეც ორმხრივი შეთანხმების ერთ-ერთი პირობა გახლდათ. ასე მოვიდა სპორტული სამყაროსათვის აბსოლუტურად უცნობი ბეკერი დიდ ჩოგბურთში.

...ჩოგბურთში სხვა სპორტული თამაშებისგან განსხვავებით ფრე არ არსებობს. შენ თუ ვერ დაამარცხე მეტოქე, მან უნდა დაგამარცხოს. ფეხბურთში, მაგალითად, სპორტსმენს შეუძლია თავი ინუგეშოს იმით, რომ თვითონ ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისთვის, მაგრამ მეკარე ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და გუნდს „უღალატა“. ჩოგბურთში ყველაფერი მოთამაშეზეა დამოკიდებული, რომელმაც იცის, რომ ყოველ გეიმში მოწინააღმდეგეს ორი ქულით უნდა აჯობოს...

ასე რომ, ჩოგბურთში ნათლად ვლინდება სპორტსმენის ფიზიკური მონაცემები და ხასიათი. ბეკერზე ამბობენ, რომ ფანტასტიკური ძალის მოწოდება აქვსო. ეს კი არა, ისიც დაანგარიშებულია, რომ ამ დროს ბურთი საათში 302 კილომეტრის სისწრაფით მიქრის. მაგრამ ბეკერს, ამავე დროს, წარმოუდგენლად შეუპოვარი, მებრძოლი კაცის ხასიათი აქვს.

1985 წლის უიმბლდონზე მერვედფინალში, ამერიკელ მაიოტთან შეხვედრის დროს ბეკერს ფეხის კუნთი დაეჭიმა. სხვა მის ადგილზე უსათუოდ შეწყვეტდა ბრძოლას, დაისვენებდა, ექიმს მოუხმობდა. მაგრამ ბეკერმა არავის გააგებინა თავისი გასაჭირი, გააგრძელა ბრძოლა და ეს შეხვედრა მოიგო, მერე კი ტურნირიც.

იმ მომენტში, როცა მას მოზრდილი ვერცხლის თასი გადასცეს, უსასრულოდ ბედნიერი იყო და სხვა არაფერზე უფიქრია. ანალიზის საშუალება უფრო გვიან მიეცა, როცა შინ დაბრუნებულს ჟურნალისტებმა შეხვედრა მოუწყვეს.

— თქვენ ჩვიდმეტი წლის ასაკში უიმბლდონის ჩემპიონი გახდით. რას გრძნობდით მაშინ?

— ასეთ კითხვას რომ სვამთ, არც კი ვიცი რა პასუხი გაგცეთ. მე მუდამ მახსოვდა, რომ ბორგი ოთხჯერ იყო უიმბლდონის ჩემპიონი და მსურდა მას დავმსგავსებოდი. მე ამისთვის ვცხოვრობ, ვიბრძვი. მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრათ, რომ, როცა 3 საათსა და 18 წუთში ფინალური მატჩი მოვიგე, შიშის გრძნობა დამეუფლა. დიახ, შიშის გრძნობა იმის გამო, რომ რაღაც უზომოდ დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთე.

გამარჯვების შემდეგ, პირველი კვირის მანძილზე, ბეკერმა თორმეტი ათასი მისალოცი ბარათი მიიღო



და ყველა სათითაოდ წაიკითხა. ამ წერილებიდან მან ერთი შემზარავი დასკვნა გააკეთა: 17 წლის ჭაბუკი ეროვნული გმირი გამხდარა და ეს გმირი ხალხს გულწრფელად უყვარს, დედები რჩევას ეკითხებიან, გოგონები კი მეგობრობას სთავაზობენ... ვიღაც მანიაკმა მუქარის წერილი გაუგზავნა და ფიზიკური განადგურებით დაემუქრა... სამაგიეროდ ფედერაციული გერმანიის პრეზიდენტმა ფონ ვაიცზეკერმა გულთბილად მიიღო, გამარჯვება მიულოცა...

1986 წელს ბეკერი მეორედ გახდა უიმბლდონის ჩემპიონი. მანამდე ტოკიოში საჩვენებელი შეხვედრა კონორსს 36 წუთში მოუგო — თითო პარტიაზე, ფაქტობრივად, თორმეტი წუთი დახარჯა. ბოში თავის ცხოვრებაში პირველად ატირდა ამ დღეს სიხარულის ნიშნად. ცირიაკის ბედნიერებას არ ჰქონდა საზღვარი. მსოფლიომ ირწმუნა მისი და მისი მოწაფის ძალა.

ბეკერმა ფინალში ლენდლი დაამარცხა, მაგრამ კომპიუტერმა სეზონის ბოლოს პირველ ნომერ ჩოგბურთელად მაინც ჩეხოსლოვაკიელი დაასახელა, ე. ი. ყველაფერი ისე, არ იყო, როგორც ბოშსა და ცირიაკს ეგონათ, ლენდლი თავის ახალგაზრდა კონკურენტს რაღაც ნიუანსებით კიდევ სჯობდა. ეს გამოცანა ისევ ცირიაკმა ამოხსნა. გამოირკვა რომ ბეკერს აკლდა სტაბილურობა „ვარსკვლავისთვის“ დამახასიათებელი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა. პირველი ნომერი ჩოგბურთელი, როგორც წესი, სეზონის განმავლობაში იშვიათად უნდა დამარცხდეს, მუდამ უნდა სჯობდეს საშუალო დონის მეტოქეს და მაქსიმალურად ბევრ ტურნირში მონაწილეობდეს. აი ამ მხრივ, ლენდლი მსოფლიო ჩოგბურთში მართლაც უნიკალური გამონაკლისი გახლავთ. უიმბლდონის ფინალის შემდეგ, რამდენიმე საათში იგი „კონკორდში“ იჯდა. ჯერ ნიუ-იორკში ჩაფრინდა, მერე ლოს-ანჯელესში და მეორე დღეს კორტზე გამოვიდა. 17 წლის ასაკში არა, მაგრამ მოგვიანებით, ეს გზა ბეკერსაც აღმოაჩნდა გასავლელი.

თუმცა სჯობს თვითონ ბეკერს მოვუსმინოთ: „წლები ჩვიდმეტიდან ოცდასამამდე პრაქტიკულად გამოვტოვე... და აღმოვჩნდი სამყაროში, სადაც ახალგაზრდებს პრაქტიკულად არა აქვთ საქმე. ჩემთვის უცხო გარემოში არჩევანი უნდა გამეკეთებინა: ან ვრჩები აქ, მოზრდილთა შორის, ან ქვემოთ უნდა დავეშვა. მე, რა თქმა უნდა, დარჩენა ვამჯობინე“.

ბეკერის პოპულარობის მიზეზი, პირველ ყოვლისა, მისი პიროვნების არაორდინალურობაში უნდა ვეძებოთ. ადამიანები მასში რაღაც უჩვეულოს ხედავენ, ამიტომ წაგების შემთხვევაშიც იგი სენსაციად რჩება. სიდნეიში, მაგალითად, მას მუდამ თან სდევდა ცნობისმოყვარეთა ჯგუფი, ნიუ-იორკში მეხუთე ავენიუზე კი ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ და ავტოგრაფს სთხოვდნენ. მაგრამ ყველაზე დიდ ინტერესს ბეკერის პიროვნება, რა თქმა უნდა, თანამემამულეთა შორის იწვევს. საბედნიეროდ შინ ყოფნა ჩოგბურთელს იშვიათად უხდება (1985 წელს იგი გფრ-ში მხოლოდ 9 დღით იყო).

ერთ-ერთ ფრანგულ ჟურნალში ამოვიკითხეთ ბორის ბეკერის სავიზიტო ბარათი და 1990 წლის ტურნირებში მონაწილეობის შედეგები. ეს წერილი სწორედ ამ მონაცემებით გვინდა დავასრულოთ. დაიბადა 1967 წლის 22 ნოემბერს ლეიმენში. 193 სანტიმეტრის სიმაღლისაა. იწონის 84 კილოგრამს. თამაშობს მარჯვენა ხელით. მსოფლიო რეიტინგით მეორე ჩოგანია. 1990 წელს ბრიუსელის, შტუტგარტის და ინდიანოპოლისის ტურნირებში გაიმარჯვა. იყო ჰამბურგის ტურნირის ფინალისტი. მეოთხედფინალში გამოეთიშა ავსტრალიის ღია ჩემპიონატს, როლან-გაროსს — პირველ წრეში. არის უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი და აშშ-ის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალისტი.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 45-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.278.987 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (67) მოგება 572 მანეთია, ოთხისთვის (2.630) — 21, სამისთვის (33.129) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 38.995 ვარიანტი. 6-0, 5-0, 4-80, 3-992.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 12.577.014 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისათვის (14) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2. 923) — 194, სამისთვის (117, 782) — 10.

საქართველოში: დაშვებულია 338.526 ვარიანტი. 5-0, 4-62, 3-2.948.

45-ე და 36-45 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 1 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით.

## „სპორტპროგნოზი“

**46-ე ტირაჟის შედეგები**

**(17-18 ნოემბერი)**

1-1, 2-X, 3-1, 4-X, 5-X, 6-2, 7-1, 8-2, 9-1, 10-1, 11-X, 12-2, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მეორე წყვილის შედეგი განსაზღვრულია წილისყრით.

• • •

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 45-ე და ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მატჩებზე შედგენილი „C-12“ სპეციალური ტირაჟების შედეგები.

**45-ე ტირაჟი:** დაშვებულია 2.724.988 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისათვის (596) მოგება 68 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (9.963) — 8 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (66.605) — 4 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 169.032 ვარიანტი. 13-37, 12-544, 11 — 3.373.

„C-12“ სპეცტირაჟი: დაშვებულია 1.844.033 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (109) მოგება 253 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (4.083) — 13 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (39.917) — 4 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 103.704 ვარიანტი. 13-7, 12-208, 11 — 1.940.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები ქ. ქავთარაძე და ც. ჩიტიშვილი.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54,
„მერანი“ — 93-97-20, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20